საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ზურაბ გურასპაშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 1.08.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარეს *ქალბატონ ნინო ქადაგიძეს*

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ნიკოლოზ მარსაგიშვილის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

01 აგვისტო, 2024 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შესარჩევი კონკურსი, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნიკოლოზ მარსაგიშვილი.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

კანდიდატი ნიკოლოზ მარსაგიშვილი შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ამავე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, მისი კეთილსინდისიერების შესახებ შევადგინე საბოლოო დასკვნა, რომლის მიხედვითაც დადასტურებულად მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი ასევე შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით. კანდიდატ ნიკოლოზ მარსაგიშვილის თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, ჩემ მიერ მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 94 ქულა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის 1/75 განკარგულებით აღნიშნული პროცედურის შემდგომ ეტაპზე გადავიდა - ნიკოლოზ მარსაგიშვილი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილის შეფასების შედეგების ანალიზისა და მასთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება მხარი დავუჭირო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრობაზე ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენას. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე ნიკოლოზ მარსაგიშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას - ყველა წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე

სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, მის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1302 ქულა, რაც მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1400) 93 პროცენტია.

2024 წლის 01 აგვისტოს, მითითებულ კანდიდატთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, მისი პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად. მიღებულ გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს ნიკოლოზ მარსაგიშვილი, ვინაიდან შეფასებების შედეგების ანალიზისა და მოსამართლესთან გასაუბრების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ მას გააჩნია ყველა აუცილებელი პიროვნული და პროფესიული თვისება, რათა სრულფასოვნად განახორციელოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ზურაბ გურასპაშვილი

01.08.2024 წელი